ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.48220131**

თარიღი:**13/01/2022**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბო არენას“ 2022 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 დეკემბრის №20 დადგენილების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წყალტუბო არენას (ს/კ 421268014) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 17 სექტემბრის №31 3201 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის და ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-ს დირექტორის 2022 წლის 12 იანვრის №3 წერილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „წყალტუბო არენას“(ს/კ 421268014) 2022 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბო არენა“-ს ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 20 იანვრის №48.48210207 ბრძანება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს (გ.ყურაშვილი).

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალახაშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი